სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 2020-18

ქ. თბილისი *18 თებერვალი 2020 წელი.*

*ერთის მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (ს/კოდი: 218065055)** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გამგეგლის ოთარ ცოტნიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე **გიორგი კანდელაკი „ვესტა“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) **(ს/კ 01009005243),** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:*

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. *„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.*

1.2. *„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.*

1.3. *„შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.*

1.4. *„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.*

1.5. *„დღე,“ „კვირა,“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.*

1.6. *„ფასების ცხრილი“ _ ხელშეკრულების დანართი, რომელშიც განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, მოცულობა და საფასური.*

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. *ხელშეკრულების საგანია, **ერედვის მუნიციპალიტეტის** 2020 წლის ბიუჯეტის სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საკანცელარიო ნივთების და კომპიუტერული აქსესუარების (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა თანდართული ფასების ცხრილის /დანართი N1/ შესაბამისად.*

2.2. *მიმწოდებელი ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს და გადასცეს საკუთრებაში შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი, ხოლო შემსყიველი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს და აუნაზღაუროს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.*

3. **შესყიდვის ობიექტის დასახელება**

3.1. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი: (CPV 30100000); (CPV 30200000);

4. ***ხელშეკრულების ღირებულება***

4.1. *შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, შეადგენს **1008,53 (ათას რვა ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში ხელშეკრულების ღირებულება).*

5. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

5.1. *მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს.*

5.2. *მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი, მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.*

6. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები**

6.1. *შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდება უნდა განხორციელდეს ერდჯერადად ან ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.*

6.2. *მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეთანხმების საფუძველზე, ვადაზე ადრე დაასრულოს და ჩააბაროს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.*

6.3. *ყველა მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი, ქარხნული შეფუთვით.*

6.4. *მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. ქ. N 55/1.*

6.5. *განსაზღვრულ ვადაში შესყიდვის ობიექტის მიწოდების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.*

6.6. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტის - სასაქონლო ზედნადების წარდგენა შემსყიდველისთვის.*

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. *შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.*

7.2. *მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტები), რითაც შესყიდვის ობიექტი ან/და მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიწოდებულად, რის შემდეგაც შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება.*

7.3. *შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) მიღება და საბოლოო შემოწმება მოხდება მიწოდების ადგილზე.*

7.4. *შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადოს შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.*

7.5. *შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას, წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლას, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოფს მიმწოდებელი.*

7.6. *შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.*

7.7. *ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.*

8. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

8.1. *ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.*

8.2. *ანგარიშსწორება იწარმოებს, შესყიდვის ობიექტის სრულად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტები) საფუძველზე.*

8.3. *ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და საგადასახადო დოკუმენტების დადასტურებიდან* 5 (*ხუთი*) *სამუშაო დღის განმავლობაში.*

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. ***<u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>***

9.1.1. *უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.*

9.1.2. *შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.*

9.3. ***<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>***

9.3.1. *ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.*

9.3.2. *საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.*

9.3.3. *დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს იმ მოსალოდნელ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე.*

9.3.4. *დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.*

9.4. ***<u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>***

9.4.1. *შემსყიდველისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.*

10. უფლებების გადაცემა

10.1. *მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.*

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. *წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის* 398-*ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*

11.2. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის* 398-*ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების* 10%-*ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.*

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. *ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.*

12.2. *თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.*

12.3. *ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.*

13. შეტყობინება

13.1. *ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.*

13.2. *შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.*

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. *ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთ წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.*

14.2. *იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.*

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პასუხისმგებლობა)

15.1. *ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.*

15.2. *მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების* 0,02%-*ის ოდენობით.*

15.3. *მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადების* 10 (*ათი*) *კალენდარულ დღეზე მეტი დღით გადაცდენის შემთხვევაში* (*შემსყიდველისგან დამოუკიდებელი მიზეზებით*), *თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი შესასრულებელი* (*დარჩენილი*) *ვალდებულების შესაბამისი თანხის* 10%-*ის ოდენობით.*

15.4. *შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას დეფექტის ან/და ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების შეუსაბამობის აღმოჩენიდან, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში, მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, შესასრულებელი* (*დარჩენილი*) *ვალდებულების შესაბამისი თანხის* 10%-*ის ოდენობით.*

15.5. *მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების* 20%-*ის ოდენობით.*

15.6. *საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან* 10 (*ათი*) *სამუშაო დღის განმავლობაში.*

15.7. *შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.*

15.8. *წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.*

15.9. *პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

16.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:*

16.1.1. *თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;*

16.1.2. *თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;*

16.1.3. *თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;*

16.1.4. *მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადების* 10 (*ათი*) *კალენდარულ დღეზე მეტი დღით გადაცდენის შემთხვევაში;*

16.1.5. *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.*

16.2. *ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების* (*ან მისი ნაწილის*) *შეწყვეტამდე* 3 (*სამი*) *დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.*

16.3. *ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.*

16.4. *ამ მუხლის* 16.1. *პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.*

17. ფორს-მაჟორი

17.1. *ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.*

17.2. *ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.*

17.3 *ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.*

17.4. *ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.*

17.5. *ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.*

17.6. *ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.*

17.7. *თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.*

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

18.1. *ხელშეკრულების კონტროლის, გასაწევი ან გაწეული მომსახურების მოცულობისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისა და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში მიმწოდებელთან ითანამშრომლებს შემსყიდველის მიერ ამისათვის გამოყოფილი უფლებამოსილი პირი -* ***ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მიდოდაშვილი.***

18.2 *ინსპექტირების განმხორციელებელი პირი უფლებამოსილია შეამოწმოს მოწოდებული საქონელი, რათა განსაზღვრონ მათი შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნებთან.*

18.3. *იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებისას გამოვლინდა წუნი ან/და ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს კონტროლის* (*ინსპექტირების*) *შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.*

19. დავების გადაწყვეტის წესი

19.1. *ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.*

19.2. *შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.*

20. დასკვნითი დებულებანი

20.1. *საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.*

20.2. *ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი გაფორმების შედეგად.*

20.3. *ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.*

20.4. *ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.*

20.5. *მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმონოების ან უზუსტობების შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონეა.*

20.6. *მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.*

20.7. *ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მარტამდე. თუ, ამ თარიღისათვის არ არის შესრულებული რომელიმე ვალდებულება ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.*

20,8 *ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.*

21. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

ერედვის მუნიციპალიტეტი	**ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“**
მის.: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24	ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1, (კიევის ქუჩა N1)
eredvismunicipaliteti@yahoo.com	vesta.gk@gmail.com
ტელ: 599 33 94 00	ტელ: 2 96 19 31; 599 94 45 17;
ს/კ: 218065055	ს/კ: 01009005243
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი”
კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
GE24NB0330100200165022	ა/ა: GE75BG0000000888000801
_____	_____
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეველი	***გიორგი კანდელაკი „ვესტა“***
/ოთარ ცოტნიაშვილი/	***ინდ. მეწარმე***

Eredvi Municipality

Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2020.02.18 15:37:06 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2020-18
18.02.2020 წ.

დანართი№1

ფასების ცხრილი:

N	დასახელება/აღწერილობა	განზომილება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
1	წებო მშრალი 21გრ GA21C/011313	ცალი	30197330	35,00	0,40	14,00
2	კალამი ბურთულიანი HL-777A ლურჯი	ცალი	30192121	210,00	0,09	18,90
3	კალამი ბურთულიანი HL-717A ლურჯი	ცალი	30192121	125,00	0,10	12,50
4	კალამი ბურთულიანი HL-777A წითელი	ცალი	30192121	27,00	0,09	2,43
5	კალამი ბურთულიანი HL-777A შავი	ცალი	30192121	26,00	0,09	2,34
6	კალამი მელნიანი LT-625A ლურჯი	ცალი	30192121	40,00	0,25	10,00
7	ფანქარი HB 7079	ცალი	30192130	65,00	0,15	9,75
8	ფანქრის სათლელი 0594, DELI	ცალი	30192133	18,00	0,28	5,04
9	კორექტორი კალამი Helio-206	ცალი	30192930	32,00	0,60	19,20
10	სახაზავი პლასტიკური ფერადი 30 GS	ცალი	30194300	23,00	0,19	4,37
11	კლიფსი მეტალის 41მმ შეკვრაში (12 ცალი) 38562	შეკვრა	30197100	10,00	2,50	25,00
12	კლიფსი მეტალის 25მმ შეკვრაში (12 ცალი) 38564	შეკვრა	30197100	8,00	1,10	8,80
13	სკრეპი ფერადი N3 0024	ცალი	30197220	25,00	0,88	22,00
14	სკრეპი ფერადი N3 4001/28	შეკვრა	30197220	12,00	0,35	4,20
15	ქაღალდის დამჭერი კლიფსი32მმ 12ც შეკვრა	შეკვრა	30197100	10,00	1,30	13,00
16	კონვერტი ა5 160*230 110გრ	ცალი	30199230	200,00	0,09	18,00
17	კონვერტი ა4 240*320 110გრ	ცალი	30199230	80,00	0,14	11,20
18	კონვერტი ა3 320*420 110გრ	ცალი	30199230	50,00	0,25	12,50
19	ტექსტ მარკერი HL 710	ცალი	30192125	30,00	0,42	12,60
20	სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 0012	შეკვრა	30197110	10,00	0,40	4,00
21	პერნამეტ მარკერი ორმაგი წვერით EU10420, DELI	ცალი	30192125	18,00	0,55	9,90
22	დაფის მარკერი შავი EU00120 Black, DELI	ცალი	30192125	4,00	0,50	2,00
23	საშლელი 4B 3044	ცალი	30192100	30,00	0,39	11,70
24	სტეპლერის ტყვია N23/10 0015	ცალი	30197110	10,00	0,50	5,00
25	სტეპლერის ტყვია N23/13 0013	შეკვრა	30197110	10,00	1,10	11,00

26	დანა საკანცელარიო 287	ცალი	30192000	20,00	1,10	22,00
27	სტეპლერი 24/6 0325	ცალი	30197320	5,00	2,42	12,10
28	მაგიდის კალენდარი ზამბარიანი კ6/1	ცალი	30199792	20,00	2,70	54,00
29	კატრიჯი HP Q2612 FX10/9 303	ცალი	30125100	3,00	16,00	48,00
30	კატრიჯი HP CB435/CB43	ცალი	30125100	2,00	15,00	30,00
31	კატრიჯი HP CRG728/328	ცალი	30125100	16,00	15,00	240,00
32	კატრიჯი HP 283A	ცალი	30125100	21,00	15,00	315,00
33	cd-R დისკი(50ც) Princo	ცალი	30237320	1,00	18,00	18,00
სულ 1008,53 ლარი						

ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეგელი

გიორგი კანდელაკი „ვესტა“

ინდ. მეწარმე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **18 თებერვალი 2020 წელი**

ჩვენ ქემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ N2020-18 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ინდ. მეწარმე **გიორგი კანდელაკი „ვესტა“**-სგან საკანცელარიო ნივთების და კომპიუტერული აქსესუარების (CPV კოდი -30100000; CPV კოდი-30200000) შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარების, სტატისტიკისა დაქონების
მართვის სამსახურის უფროსი

---------- ტარიელ მიდოდაშვილი